



LAND O'LAKES  
**VENTURE** 37



# ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების სახელმძღვანელო მესაქონლეობის სექტორში დასაქმებული ფერმერებისათვის



GEORGIA SAFETY AND  
QUALITY INVESTMENT  
IN LIVESTOCK (SQIL)

ინვესტირება  
უვნებელ და ხარისხიან  
მესაქონლეობაში - საქართველო



**ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების სახელმძღვანელო მესაქონლეობის სექტორში დასაქმებული ფერმერებისათვის**

## **სარჩევი**

<b>სახელმძღვანელოს მიზანი</b>	<b>5</b>
<b>ტერმინთა განმარტება</b>	<b>6</b>
<b>ვეტერინარული პრეპარატების ზოგადი დახასიათება</b>	<b>13</b>
<b>ვეტერინარული პრეპარატების შეძენა, ტრანსპორტირება, შენახვა და განადგურება</b>	<b>15</b>
ვეტერინარული პრეპარატების შეძენა	15
ვეტერინარული პრეპარატების ტრანსპორტირება	16
ვეტერინარული პრეპარატების შენახვა	16
ვეტერინარული პრეპარატების ვარგისობის ვადა	17
ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება	18
სიფრთხილის ზომები	20
ვეტერინარული პრეპარატების განადგურება	22
<b>ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია</b>	<b>23</b>
<b>ვეტერინარული პრეპარატის ანოტაცია (ინსტრუქცია)</b>	<b>24</b>
<b>ჩანაწერების წარმოება</b>	<b>25</b>
<b>ვეტერინარული პრეპარატის ლოდინის პერიოდი და ვეტერინარული პრეპარატების წარჩენები</b>	<b>27</b>
<b>ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლი რძესა და ხორცში ანტიბიოტიკების წარჩენების აღმოჩენა</b>	<b>31</b>
<b>ანტიმიკრობული რეზისტენტობა</b>	<b>33</b>
მგრძნობელობის ტესტი	38
<b>მესაქონლე ფერმერისთვის საჭირო ნორმატიული აქტები</b>	<b>41</b>
<b>ვეტერინარულ პრეპარატებთან დაკავშირებული სანქციები</b>	<b>43</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>44</b>
<b>დანართები</b>	<b>46</b>

GFP-2019-PROC-0031

**პროექტი - ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში  
USDA Food for Progress 2018**

[www.landolakes.org](http://www.landolakes.org)

**მომზადებულია:**

ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის მაია კერესელიძეს მიერ  
სახელმძღვანელოს შემუშავებაში ასევე მონაწილეობდა SQL პროექტის  
სურსათის უვნებლობის და ხარისხის გუნდი:

ლაშა ავალიანი

მზია კუზნეცოვა

რუსუდან წიკლაური

*„აღნიშნული მასალა მომზადებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, საგარეო სასოფლო-სამეურნეო სამსახურის მიერ გაცემული ფედერალური ჯილდოს FCC-114-2018/004-00 ფარგლებში. ნებისმიერი მოსაზრება, დასკვნა ან რეკომენდაცია, რომლებიც მოცემულია ამ პუბლიკაციაში, არის ავტორ(ებ)ის მოსაზრება და არ ასახავს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის და ამერიკის მთავრობის შეხედულებას.“*

## სახელმძღვანელოს მიზანი

სახელმძღვანელო შესრულებულია პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ დაკვეთით და მისი მიზანია მეცხოველეობის, კერძოდ მესაქონლეობის სექტორში დასაქმებული ფერმერებისათვის (პირველადი მწარმოებლებისათვის) ინფორმაციის მიწოდება ვეტერინარული პრეპარატების სწორი და რაციონალური გამოყენების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ცხოველთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვას და ასევე, გააუმჯობესებს სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებს რძისა და ხორცის სექტორში.

სახელმძღვანელოს შექმნის საჭიროება დღეისათვის საქართველოში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე დადგა, კერძოდ: ფერმერთა დიდ ნაწილს არ აქვს წვდომა საგანმანათლებლო ლიტერატურაზე, კერძო ვეტერინარული სექტორი სრულად ვერ ახდენს ფერმერთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, ქვეყანაში არ მოქმედებს ვეტერინარული რეცეპტების გაცემის სისტემა და შესაბამისად, ფერმერთათვის ადვილად ხელმისაწვდომია ყველა სახის ვეტერინარული პრეპარატი (მათ შორის ანტიბიოტიკები, ჰორმონები და იმუნოლოგიური პრეპარატები), ეფექტურად ვერ ხორციელდება მეცხოველეობის პირველადი წარმოების სახელმწიფო კონტროლი, ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების სახელმწიფო კონტროლის შედეგები მეტყველებს ვეტერინარული პრეპარატების, მათ შორის აკრძალული ვეტერინარული პრეპარატების ხშირ და არამიზნობრივ გამოყენების გავრცელებულ პრაქტიკაზე და ა.შ.

სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ გადმოტვირთოთ ბლოგი აგრონავტიდან <https://blog.agronavt.ge/>, ასევე სახელმძღვანელოს მოკლე საინფორმაციო ვერსია შეგიძლიათ მოიძიოთ მობილურ აპლიკაცია Agronavti-ში. Agronavti-ი ხელმისაწვდომია Android-ის და Apple iOS-ის მომხმარებლებისთვის და ქართულენოვანია.

გსურს გაიგო რა არის აგრონავტი?  
დაასკანერე QR-კოდი და გადმოწერე აპლიკაცია



# ტერმინთა განმარტება

ტერმინები, რომლებიც გამოიყენება ვეტერინარულ პრეპარატებთან მიმართებაში და რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მეცხოველეობის სექტორში დასაქმებულთათვის:

**აკრძალული მკურნალობა** – იმ ვეტერინარული პრეპარატებით ან ნივთიერებებით (სუბსტანციებით) მკურნალობა, რომელიც არ არის ნებადართული საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ნებადართული ვეტერინარული პრეპარატების ან ნივთიერებების (სუბსტანციების) არამიზნობრივი ან შეუსაბამო პირობებში გამოყენება.<sup>(10)</sup>

**აკრძალული ნივთიერებები** – საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №22-ის დანართი N1-ით განსაზღვრული ფარმაკოლოგიურად აქტიური სუბსტანციები (ნივთიერებები).

**ანოტაცია (ინსტრუქცია)** (Package leaflet) – დანართი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია გამოყენებლებისთვის და თან ახლავს ვეტერინარულ პრეპარატს.<sup>(112)</sup>

**ანტიმიკრობული საშუალებები** – სამკურნალო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციების, ასევე პარაზიტების (მაგ. ჰელმინთების) ვირუსების და სოკოებით გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ.<sup>(3ანმმ)</sup>

**არამიზნობრივი გამოყენება** (Off-label use) – ვეტერინარული პრეპარატის გამოყენება იმ დანიშნულებით, რომელიც არ შეესაბამება პროდუქტის მახასიათებლების მოკლე აღწერილობილობას, მათ შორის არასწორად და ბოროტად გამოყენება.<sup>(112)</sup>

**არარეგისტრირებული ნივთიერება** (სუბსტანცია) ან საშუალება – ნივთიერება (სუბსტანცია) ან საშუალება, რომლის გამოყენება ცხოველებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აკრძალულია.<sup>(22)</sup>

**ბიზნესოპერატორი** – პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას და

რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის. (კოდექსი)

**განკარგვა** - ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის შეგროვება, ტრანსპორტირება, შენახვა, გადამუშავება, გამოყენება ან განადგურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (კოდექსი)

**გენერიკული ვეტერინარული პრეპარატი** - საერთაშორისო არაპატენტირებული კვლავწარმოებული ვეტერინარული პრეპარატი. <sup>(327)</sup>

**გვერდითი მოქმედება** (Adverse reaction) - საზიანო და გაუთვალისწინებელი მოქმედება, რომელიც ვლინდება ცხოველებში ჩვეულებრივი დოზის გამოყენებისას პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური ან დაავადების სამკურნალო ან ფიზიოლოგიური ფუნქციის აღდგენის, გამოსწორების ან მოდიფიკაციისათვის. <sup>(112)</sup>

**გვერდითი მოქმედება ადამიანზე** (Human adverse reaction) - მავნე და გაუთვალისწინებელი მოქმედება, რომელიც ვლინდება ადამიანებში ვეტერინარული პრეპარატის მოქმედების შედეგად. <sup>(112)</sup>

**ეტიკეტირება** (Labelling) - ინფორმაციის განთავსება პირველად ან მეორეულ შეფუთვაზე. <sup>(112)</sup>

**ვადაგასული ვეტერინარული პრეპარატი** - ფარმაკოპეის სტანდარტით, დადგენილი სტანდარტით ან სხვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ვარგისობის ვადაგასული პრეპარატი. <sup>(327)</sup>

**ვეტერინარი** - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, სათანადო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. (კოდექსი)

**ვეტერინარი ტექნიკოსი** - პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი ან სერტიფიკატი. (კოდექსი)

**ვეტერინარული პრეპარატი** - ფარმაკოლოგიური, იმუნოლოგიური ან მეტაბოლური ეფექტის მქონე ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთიერებათა კომბინაცია, რომელიც გამოიყენება ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკისათვის ან დაავადების სიმპტომების აღმოსაფხვრელად, სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის, აგრეთვე ცხოველთა სასიცოცხლო და ფიზიოლოგიური ფუნქციების აღსადგენად ან/და შესაცვლელად. (კოდექსი)

**ვეტერინარული პრეპარატის დასახელება** (Name of veterinary medicinal product) – დასახელება, რომელიც შესაძლოა იყოს სავაჭრო დასახელება და არ უნდა იწვევდეს ზოგად დასახელებასთან აღრევას, ან ზოგადი ან სამეცნიერო დასახელება, რომელსაც თან ახლავს სავაჭრო ნიშანი ან რეგისტრაციის მფლობელის დასახელება. <sup>(112)</sup>

**ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმი** - პროცესი, რომელიც მოიცავს სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისო ვეტერინარული პრეპარატების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს მიერ შესაბამის ბაზარზე დაშვებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციას და სახელმწიფო რეესტრში შეტანას. <sup>(327)</sup>

**ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმი** – პროცესი, რომელიც მოიცავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ექსპერტიზისა და სარეგისტრაციო გამოცდის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოწმობის გაცემასა და სახელმწიფო რეესტრში შეტანას. <sup>(327)</sup>

**ვეტერინარული პრეპარატების ხელახალი რეგისტრაცია** – პროცესი, რომელიც მოიცავს რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდგომ, ვეტერინარული პრეპარატის განმეორებით სახელმწიფო რეგისტრაციას. <sup>(327)</sup>

**ვეტერინარული რეცეპტი** – (Veterinary prescription) ვეტერინარული პრეპარატის რეცეპტი, გაცემული საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი კვალიფიციური პირის მიერ. <sup>(112)</sup>

**ზოგადი დასახელება** (Common name) – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული საერთაშორისო არაპატენტირებული (გენერიკული) დასახელება, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში საყოველთაოდ მიღებული ზოგადი დასახელება. <sup>(112)</sup>

**ზოონოზი** - ნებისმიერი დაავადება ან ინფექცია, რომელსაც უნარი აქვს ბუნებრივად გადაეცეს ცხოველიდან ადამიანს ან/და პირიქით. <sup>(OIE)</sup>

**ზოოტექნიკური მკურნალობა** – საქმიანობა, რომელიც მოიცავს: ვეტერინარი ექიმის მიერ ცხოველის გასინჯვის შემდეგ, ფერმის ცალკეული ცხოველის მკურნალობას ნებისმიერი ნებადართული ვეტერინარული პრეპარატით ახურების (Oestrus) სინქრონიზაციისათვის, ასევე დონორისა და რეციპიენტის მომზადებას ემბრიონის იმპლანტაციისათვის; აკვაკულტურის შემთხვევაში სანაშენე ცხოველების სქესის ინვერსიას ვეტერინარი ექიმის მიერ გაცემული დანიშნულებით ან მისი პასუხისმგებლობით. <sup>(10)</sup>

**თერაპიული მკურნალობა** – საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ვეტერინარული პრეპარატით მკურნალობისათვის ვეტერინარი ექიმის ადმინისტრაციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ცალკეული სახეობის ფერმის ცხოველის ფერტილობის (რეპროდუქციის უნარი) პრობლემების მკურნალობის, მათ შორის, არასასურველი მაკრობის შეწყვეტის, ბეტა-აგონისტების შემთხვევაში – ძროხებში მშობიარობის დროს ტოკოლიზის გამონვევის, ასევე რესპირატორული დაავადების, ნავისებური ძვლის დაავადების, ჩლიქის ანთების (Laminitis) მკურნალობას. <sup>(10)</sup>

**იმუნოლოგიური ვეტერინარული პრეპარატი** (Immunological veterinary medicinal product) – ვეტერინარული პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ცხოველებში აქტიური ან პასიური იმუნიტეტის გამომუშავების ან იმუნური მდგომარეობის განსაზღვრისათვის. <sup>(112)</sup>

**კონტაქტური სადგომი** - სადგომი მიიჩნევა კონტაქტურ სადგომად, თუ სახელმწიფო ვეტერინარი აღმოაჩენს, ან დადასტურებული მონაცემების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ინფექციის გამომწვევი აგენტი შეიძლება შეტანილი იყოს ადამიანის, ცხოველის, ცხოველური პროდუქტის, ავტომანქანის გადაადგილებით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით სხვა სადგომიდან. <sup>(348)</sup>

**ლოდინის პერიოდი** (Withdrawal period) – პერიოდი, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, ნორმალურ პირობებში ვეტერინარული პრეპარატის ბოლო დოზის მიღებასა და ამ ცხოველებიდან მიღებული სასურსათო პროდუქტების წარმოებას შორის, რათა აღნიშნული ცხოველებისგან წარმოებული სასურსათო პროდუქტები არ შეიცავდეს ნაშთის სახით „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების“ მაქსიმალურ ზღვარზე მეტს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილებით. <sup>(112)</sup>

**მეორეული შეფუთვა** (Outer packaging) – შეფუთვის ფორმა, რომელშიც მოთავსებულია პირველადი შეფუთვა. <sup>(112)</sup>

**მიკვლევადობა** (Traceability) – სურსათის/ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებული ტარისა და შესაფუთი მასალის, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან აგროქიმიკატის შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის დადგენის შესაძლებლობა მათი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. <sup>(კოდექსი)</sup>

**მოულოდნელი გვერდითი მოქმედება** (Unexpected adverse reaction) – გვერდითი მოქმედება, რომლის ბუნება, სიმწვავე ან შედეგი არ შეესაბამება პროდუქტის მახასიათებლების მოკლე აღწერილობას. <sup>(112)</sup>

**მოქმედების ძალა** (Strength) – აქტიური სუბსტანციების შემადგენლობა, გამოსატული რაოდენობრივი მაჩვენებლებით – დოზის ერთეულით, მოცულობის თითოეული ერთეულით ან წონის ერთეულით დოზის ფორმის შესაბამისად. <sup>(112)</sup>

**მძიმე გვერდითი მოქმედება** (Serious adverse reaction) – გვერდითი მოქმედება, რომელიც იწვევს სიკვდილს, საშიშია სიცოცხლისთვის, იწვევს მნიშვნელოვნად გამოსატულ შეზღუდულ შესაძლებლობასა და ქმედუნარობას, თანდაყოლილ ანომალიას/დეფექტს, ან ნამკურნალებ ცხოველებში სიმპტომები რჩება მუდმივად ან გახანგრძლივებული პერიოდის განმავლობაში. <sup>(112)</sup>

**ნარჩენი ნივთიერება** – ფარმაკოლოგიური მოქმედების (აქტივობის) მქონე ნივთიერების (სუბსტანციის) ან/და საშუალების, ან მათი მეტაბოლიტების, ან სხვა ნივთიერების (სუბსტანციის) ნარჩენი რაოდენობა, რომელიც ცხოველურ პროდუქტში ხვდება ცხოველიდან და შესაძლებელია, მავნე ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. <sup>(22)</sup>

**პარტია (სერია)** – ერთი სახეობისა და დასახელების ვეტერინარული პრეპარატის იდენტიფიცირებადი რაოდენობა, გამოშვებული ერთი და იმავე ბიზნესოპერატორის მიერ ერთი და იმავე ცვლის დროს და გაფორმებული ერთნაირი ეტიკეტით. <sup>(კოდექსი)</sup>

**პირველადი პროდუქტი** - ადამიანის ან ცხოველის საკვებად განკუთვნილი პროდუქტი, რომელიც მიღებულია პირველადი წარმოებიდან გადამუშავებამდე (მათ შორის, ნიადაგიდან) ცხოველის მოშენების შედეგად. <sup>(კოდექსი)</sup>

**პირველადი შეფუთვა** (Immediate packaging) – კონტეინერი ან შეფუთვის ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელიც უშუალო შეხებაშია ვეტერინარულ პრეპარატთან. <sup>(112)</sup>

**პირველადი წარმოება** - პროცესი, რომელიც მოიცავს: ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. <sup>(კოდექსი)</sup>

**რეგისტრაციის მაძიებელი** - ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ განცხადების შემტანი იურიდიული ან ფიზიკური პირი. <sup>(327)</sup>

**სააგენტო** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო. <sup>(კოდექსი)</sup>

**სამკურნალო საშუალება** – წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ნივთიერება ან მათი კომბინაცია, რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის. <sup>(წამლის კანონი)</sup>

**სასურსათო დანიშნულების ცხოველი** – სურსათის წარმოების/სურსათად გამოყენების მიზნით გაზრდილი, მოშენებული, შენახული მსხვილფეხა საქონელი. <sup>(კოდექსი)</sup>

**სუბსტანცია** – ნებისმიერი წარმოშობის, შესაბამისი ხარისხისა და ფარმაკოლოგიური აქტივობის მქონე ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ვეტერინარული პრეპარატის საწარმოებლად. <sup>(327)</sup>

**უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატი** – ორგანოლექტიკური მარკენებლების, ჰერმეტულობის, პირველადი შეფუთვის დარღვევის და სხვა დეფექტის ნიშნის მქონე ვეტერინარული პრეპარატი. <sup>(327)</sup>

**ფალსიფიცირებული ვეტერინარული პრეპარატი** – დადგენილი შემადგენლობის ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით, მიზანმიმართულად არასწორად მარკირებული ვეტერინარული პრეპარატი. <sup>(327)</sup>

**ფარმაკოპეის სტანდარტი** – ვეტერინარული პრეპარატის ხარისხის მახასიათებლებისა და მისი განმსაზღვრელი ანალიზის მეთოდების ამსახველი დოკუმენტი (სპეციფიკაცია, სტატია, მონოგრაფია, დროებითი ფარმაკოპეის სტატია, ტექნიკური პირობა), რომელიც ხარისხის შეფასების საფუძველია. <sup>(327)</sup>

**ფერმის ცხოველი** – მსხვილფეხა საქონელი, ღორი, თხა, ცხვარი, შინაური კენტრლიქიანები, შინაური ფრინველი და ბოცვერი, ამ ცხოველთა გარეული სახეობები, ასევე გარეული მცოხნავი ცხოველები, რომლებიც გაიზარდნენ სადგომში. <sup>(10)</sup>

**ცხოველის სამკურნალო საკვები (Medicated feedingstuffs)** – ვეტერინარული პრეპარატის ან ვეტერინარული პრეპარატების და ცხოველის საკვების ან რამდენიმე ცხოველის საკვების ნებისმიერი ნარევი, რომელიც მარკეტინგისათვის და გამიზნულია ცხოველთა კვებისთვის, შემდგომი გადამუშავების გარეშე, მისი სამკურნალო და პრევენციული ან სხვა თვისებებიდან გამომდინარე. <sup>(112)</sup>

**ცხოველის სამკურნალო საკვების პრემიქსი** (pre-mix for medicated feedingstuffs) – ცხოველის სამკურნალო საკვების შემდგომი წარმოებისათვის განკუთვნილი ნებისმიერი წინასწარ მომზადებული ვეტერინარული პრეპარატი.<sup>(112)</sup>

**ჰომეოპათიური ვეტერინარული პრეპარატი** (Homeopathic veterinary medicinal product) – ნებისმიერი ვეტერინარული პრეპარატი, რომელიც მომზადებულია სუბსტანციებისაგან, რომელსაც უწოდებენ ჰომეოპათიურ ნედლეულს ევროპულ ფარმაკოპეაში აღწერილი ჰომეოპათიური წარმოების პროცედურების შესაბამისად, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ქვეყნის მიერ მოცემულ პერიოდში ოფიციალურად გამოყენებადი ფარმაკოპეის შესაბამისად. ჰომეოპათიური ვეტერინარული პრეპარატი შესაძლებელია შეიცავდეს რამდენიმე საწყისს.<sup>(112)</sup>

**შენიშვნა:** ტერმინთა განმარტებები ძირითადად ამოღებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსიდან და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან, რომელთა ნომერი მითითებულია ტერმინის ბოლოს.

# ვეტერინარული პრეპარატების ზოგადი დახასიათება

ვეტერინარული პრეპარატი ეს ის ფარმაცოლოგიური, იმუნოლოგიური ან მეტაბოლური ეფექტის მქონე ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთიერებათა კომბინაციაა, რომელიც გამოიყენება ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკისათვის ან დაავადების სიმპტომების აღმოსაფხვრელად, სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის, აგრეთვე ცხოველთა სასიცოცხლო და ფიზიოლოგიური ფუნქციების აღსადგენად ან/და შესაცვლელად. ვეტერინარული პრეპარატები იყოფა კლინიკურ-ფარმაცოლოგიური ჯგუფების მიხედვით.

დღეისათვის მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ბაზარზე განთავსებულია ვეტერინარული პრეპარატების ფართო სპექტრი, რომლებიც თავის მხრივ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი შემადგენლობითა და დანიშნულებით. მესაქონლე ფერმერები ხშირად სათანადოდ არ უკვირდებიან ვეტ. პრეპარატების შემადგენლობასა თუ მის დანიშნულებას და ცხოველის დაავადებისას. შესაძლოა თვითნებურად გამოიყენონ ადრე, თითქოსდა მსგავსი დაავადების საწინააღმდეგოდ ეფექტურად გამოიყენებული პრეპარატი, რამაც შესაძლოა პირიქით გააუარესოს ცხოველის მდგომარეობა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ხშირად გამოიყენება ვაქცინები ან სხვა იმუნოლოგიური პრეპარატები (ანატოქსინები, შრატები, იმუნოგლობულინები, იმუნომასტიმულირებელი პრეპარატები), მნიშვნელოვანია ვიცოდეთ სხვაობა ვაქცინასა და შრატს შორის.

**ვაქცინა** არის სპეციფიკური ბიოლოგიური პრეპარატი, რომელიც მიიღება მიკრობისაგან, ვირუსისაგან, ან მისი ცხოველმყოფელობის პროდუქტებისგან და გამოიყენება ცხოველთა ინფექციური დაავადებების მიმართ აქტიური იმუნიტეტის შექმნის ან მკურნალობის მიზნით. პირველად ვაქცინა მიიღო და ყვავილის საწინააღმდეგოდ გამოიყენა ინგლისელმა მეცნიერმა ჯენერმა 1796 წელს. განასხვავებენ სხვადასხვა სახის ვაქცინებს, როგორცაა შერეული (ვაქცინა მომზადებული ერთი ან რამდენიმე სახეობის მიკროორგანიზმისაგან), ცოცხალი (პათოგენური მიკროორგანიზმების აქტიური იმუნული ან სუსტპათოგენური შტამებისაგან მომზადებული ვაქცინა), ინაქტივირებული (ანუ მკვდარი ვაქცინა, რომელიც მზადდება გაუსნებოვნებული იმუნოგენური მიკროორგანიზმებისაგან), ასევე პოლივალენტური (ერთი და იგივე მიკროორგანიზმის სხვადასხვა შტამებისაგან მომზადებული ვაქცინა), მონოვალენტური (ერთი შტამისაგან

მომზადებული ვაქცინა) და სხვა.

**შრატი** - კი არის ბაქტერიული ან ვირუსული ანტიგენებით იმუნიზებული ცხოველის სისხლის შრატი და გამოიყენება ინფექციური დაავადებების სანიანალმდეგოდ პასიური იმუნიტეტის შესაქმნელად. განასხვავებენ სა-დიაგნოსტიკო და სამკურნალო-პროფილაქტიკურ შრატებს.

მარტივად რომ ვთქვათ, ვაქცინა გამოიყენება დაავადების პრევენციის მიზნით და ეხმარება ორგანიზმს გამოიმუშავოს კონკრეტული დაავადებების სანიანალმდეგო ანტისხეულები (აქტიური იმუნიტეტი), შრატი კი წარმოადგენს სხვა ორგანიზმიდან მოპოვებულ მზა ანტისხეულებს (პასიური იმუნიტეტი), რომელიც გამოიყენება, როგორც დაავადებულ ცხოველებში სამკურნალოდ, ისე დაავადებაზე საეჭვო ცხოველებში და ეხმარება ორგანიზმს დროებით ებრძოლოს დაავადებას, ვაქცინაციამდე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ვაქცინა აყალიბებს უფრო ხანგრძლივ იმუნიტეტს, ხოლო შრატების გამოიყენებისას იმუნიტეტის ხანგრძლივობა შედარებით ხანმოკლეა და სპეციფიურ შემთხვევებში ვაქცინაციის წინმსწრები პროცესია.

# ვეტერინარული პრეპარატების შექმნა, ტრანსპორტირება, შენახვა და განადგურება

## ვეტერინარული პრეპარატების შექმნა

ვეტერინარული პრეპარატების შექმნისას გაითვალისწინეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ▶ რეკომენდებულია აფთიაქში უკვე მომზადებული მიხვიდეთ. აუცილებელია კონსულტაცია გაიაროთ ვეტერინართან, რათა ზუსტად იცოდეთ, რომელი პრეპარატი გჭირდებათ და რისთვის.
- ▶ აუცილებელია ვეტერინარული პრეპარატი შეიძინოთ მხოლოდ ვეტერინარულ აფთიაქში, რომელიც რეგისტრირებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში, რასაც უნდა ადასტურებდეს კედელზე გაკრული „ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან“, სადაც ჩამონათვალში მითითებული უნდა იყოს ეკონომიკური საქმიანობის აღმნიშვნელი 47.73.0 კოდი. ამით თქვენ მიიღებთ დადასტურებას, რომ ეს აფთიაქი შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს და შემომწებელია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ.
- ▶ აუცილებელია ვეტერინარულ აფთიაქს ჰქონდეს მუშა მაცივარი/სამაცივრე ოთახი, რომელიც ინარჩუნებს იმ ტემპერატურულ რეჟიმს, რაც განსაზღვრულია ვეტერინარული პრეპარატის შენახვის ინსტრუქციაში. განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეთ ვაქცინებისა და შრატების შენახვის პირობებს.
- ▶ დაუშვებელია აგრარულ ბაზარში და მანქანის საბარგულზე სახელდახელოდ მოწყობილ „აფთიაქებში“ ვეტერინარული პრეპარატების შექმნა – ასეთ პირობებში ვერ მოხერხდება მათი შენახვის პირობების დაცვა. ტემპერატურის, ტენიანობისა და განათების (მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედება) რეჟიმის დარღვევა კი პრეპარატის ეფექტურობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს.
- ▶ აუცილებელია შექმნამდე შეამოწმოთ ვეტერინარული პრეპარატის ვარგისობის ვადა, რომელიც მითითებულია ვეტერინარული პრეპარატის შეფუთვაზე.
- ▶ აუცილებელია აფთიაქში შესაძენი საინექციო ვეტერინარული პრეპარატი (ვაქცინები, შრატები, კუნთში ან ვენაში გასაყეთებელი ანტიბიოტიკები და სხვა) და თვალის წვეთები იყოს სტერილური (გაუხსნელი).

დაუშვებელია გახსნილი ფლაკონიდან ნემსით ამოღებული ან/და აფთიაქში კუსტარულად გადაფასოებული საინექციო (სტერილური) პრეპარატის შექმნა.

### **ვეტერინარული პრეპარატების ტრანსპორტირება**

მნიშვნელოვანია ვეტერინარული პრეპარატების ინსტრუქციით განსაზღვრული შენახვის პირობები, (განსაკუთრებით ტემპერატურა) და ცუდი იქნეს ტრანსპორტირების დროსაც. განსაკუთრებით კი ის პრეპარატები (ვაქცინები და შრატები), რომელიც საჭიროებენ უწყვეტი ე.წ. „ცივი ჯაჭვით“ შენახვის პირობებს ( $2-8^{\circ}\text{C}$ ), რათა არ მოხდეს მათი სამკურნალო/პროფილაქტიკური ეფექტის შემცირება/დაკარგვა.

წინასწარ მოემზადეთ პრეპარატების შექმნისა და ტრანსპორტირებისათვის. ვაქცინების, შრატების და სხვა სამაცივრე პრეპარატების ტრანსპორტირებისას თან იქონიეთ თერმო ჩემოდანი და ყინული, თუმცა აუცილებლად მოარიდოთ პრეპარატები ყინულთან უშუალო შეხებას, რისთვისაც ჩაუფინეთ შუაში ქალაღი ან ნაჭერი, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეპარატი შესაძლოა გაიყინოს. დღეისათვის, ფართო გაყიდვაში სპეციალური თერმო ჩემოდნები, თერმოსი-კონტეინერები და ყინულის ჟელეები, რომლებიც ძალიან ეფექტურია ვეტერინარული პრეპარატების ტრანსპორტირებისას. გადაუდებელ შემთხვევაში შესაძლებელია ჩვეულებრივი გაყინული წყლიანი ბოთლის გამოყენებაც.

### **ვეტერინარული პრეპარატების შენახვა**

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვეტერინარული პრეპარატების, განსაკუთრებით კი იმუნოლოგიური და ანტიმიკრობული პრეპარატების ინსტრუქციით გათვალისწინებული შენახვის პირობების დაცვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პრეპარატების ტემპერატურული პირობების დაცვა, რომლებიც საჭიროებენ სამაცივრე პირობებს (როგორც წესი  $2^{\circ}-8^{\circ}\text{C}$  ფარგლებში), კერძოდ ვაქცინები, შრატები, რექტალური სანთლები, ცურში შესაყვანი პრეპარატები, მალამოები, თვალის წვეთები და სხვა პრეპარატები. ანალოგიურად საზიანოა პრეპარატების გაყინვა.

ასევე მნიშვნელოვანია ვეტერინარული პრეპარატები მოარიდოთ მზის სხივის პირდაპირ ზემოქმედებას (სინათლეს), ამისათვის უმჯობესია თუ ფერმაში გამოყოფთ სპეციალურ, გასაღებით დაცულ სათავსოს იმ ვეტერინარული პრეპარატების შესანახად, რომლებიც არ საჭიროებენ დაბალ ტემპერატურას. ვეტერინარული პრეპარატების შენახვა უმჯობესია მის თავდაპირველი (ქარხნული) შეფუთით. არასოდეს გამოიყენოთ ის ვაქცინა ან

შრავტი, რომელიც ინახებოდა სამაცივრე პირობების გარეთ, ვინაიდან მისი ეფექტურობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

სასურველია გარკვეული დროით შეინახოთ ვეტ. პრეპარატის შეფუთვა და ინსტრუქცია.

### **ვეტერინარული პრეპარატების ვარგისობის ვადა**

სამუნხაროდ, ბევრი ფერმერი ყოველდღიურ რეჟიმში არღვევს ვეტერინარული პრეპარატების შენახვის, ვარგისობის ვადების და გამოყენების პირობებს. საილუსტრაციოდ, ფოტოზე ასახულია საქართველოში ფერმაში ხშირად გამოყენებადი ერთ-ერთი ანტიბიოტიკის შენახვა/გამოყენების არასწორი პრაქტიკა.



მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ყველა პრეპარატს ვარგისობის ორი ვადა აქვს. პირველი ვადა დატანილია შეფუთვაზე და მიუთითებს პრეპარატის ვარგისობაზე მისი შეფუთვის მთლიანობის დარღვევამდე (გახსნამდე) და მეორე კი, პრეპარატის ვარგისობის ვადა მისი გახსნიდან, რომელიც მითითებულია ინსტრუქციაში. **გაითვალისწინეთ, რომ ვეტერინარული პრეპარატის პირველადი შეფუთვის დარღვევის (გახსნის) შემდეგ იგი გარემოსთან ქიმიურ რეაქციაში შედის და მისი გამოყენების (ვარგისობის) ვადა მცირდება.** ზოგიერთ პრეპარატს (განსაკუთრებით ვაქცინებს) ვარგისობის ვადა გასდის გახსნიდან რამოდენიმე დღეში ან საათში, ზოგიერთს კი გახსნისთანავე.

ხშირად ფერმერი შედის შეცდომაში და გახნილ პრეპარატს ხმარობს ეტიკეტზე მითითებული ვარგისობის ვადის ბოლომდე, ასევე ხშირია ფაქტები,

როდესაც ფერმერები გახსნილი ვაქცინის დარჩენილ დოზას ცხოველებს უკეთებენ რამოდენიმე დღის შემდეგ, რა დროსაც ცხოველებს იმუნიტეტი ვერ ჩამოუყალიბდებათ. პრეპარატების ვარგისობის ვადების დასაცავად რეკომენდებულია:

- ▶ ვეტერინარული პრეპარატი ყოველთვის უნდა შეინახოთ ორიგინალ შეფუთვაში. ყველა პრეპარატს შეფუთვაზე მარკერით უნდა დაეწეროს პირველი გახსნის თარიღი და ამ რიცხვიდან დაიწყოთ მისი გახსნიდან ვარგისობის ვადის ათვლა.
- ▶ თუ ფერმაში ინახება ცხოველის სამკურნალო საკვები, მათ შესანახ კონტეინერებზე ნათლად უნდა იყოს მითითებული საკვების დასახელება (შემადგენლობის აღწერით) და მათი ვარგისობის ვადა.

### **ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება**

ვეტერინარული პრეპარატების უსაფრთხო, სწორი და მიზნობრივი გამოყენება ფერმერის ვალდებულებაა. ვეტერინარული პრეპარატების უპასუხისმგებლო და ირაციონალური (დიდი რაოდენობით) გამოყენება, არა მხოლოდ ზედმეტ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, არამედ უარყოფითად მოქმედებს ცხოველის ჯანმრთელობაზე და მისგან წარმოებული პროდუქტის უვნებლობაზე. მაგ. ნამკურნალები ცხოველის რძესთან ერთად გამოიყოფა დიდი რაოდენობით ვეტერინარული პრეპარატის ნარჩენი, რომელიც რძეს უცვლის ორგანოლექტიკურ და ქიმიურ შემადგენლობას, ამიტომ მაქსიმალურად თავიდან უნდა იქნეს აცილებული პრეპარატების დანიშვნა ლაქტაციის პერიოდში. **თუ მაინც დაინიშნა პრეპარატი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლოდინის (მოცდის/დაყოვნების) პერიოდის დაცვას, ამ პერიოდში ადამიანის მიერ ასეთი რძის მოხმარება და ცხოველის დაკვლა დაუშვებელია!!!**

ზედმეტი ვეტ. პრეპარატების გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია წინასწარ დაგეგმოთ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის (პრევენციული) ღონისძიებები, როგორცაა: ფერმის ბიოსაფრთხოება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, გეგმიური დეჰელმინთიზაცია და ვაქცინაცია, რუტინული სადიაგნოსტიკო ღონისძიებები და სხვა. ცხოველთა ჯანმრთელობის გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს ვეტერინართან და მოიცავდეს მის მიერ იდენტიფიცირებულ ყველა საჭირო რუტინულ პრეპარატს, დიაგნოსტიკურ გამოკვლევას თუ სამკურნალო საკვებს, რომელსაც ვეტერინარი საჭიროდ მიიჩნევს ფერმის ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) მდგომარეობიდან გამომდინარე. ვეტერინარული პრეპარატის გამოყენებისას გასათვალისწინებელი საკითხები:

- ▶ ცხოველის ორგანიზმში პრეპარატი სხვადასხვა გზით შეიძლება იყოს შეყვანილი: პერორალურად (დალევინებით), ინექციით (კანქვეშ, კუნთში ან ვენაში), კანზე ან ლორწოვანზე შეზღვევით, ინჰალაციით. შეყვანის გზაზე დიდწილადაა დამოკიდებული პრეპარატის ეფექტურობა, მოქმედების სისწრაფე და გვერდითი ეფექტების გამოვლენის სიხშირე. ყველაზე სწრაფი ეფექტი ვენაში ინექციის გზით შეყვანილ პრეპარატს აქვს. შემდეგ მოდის კუნთში შეყვანა, ბოლოს კი – დალევინებით.
- ▶ მოქმედების მიხედვით პრეპარატები იყოფიან ადგილობრივი (ეფექტი ვითარდება პრეპარატის შეყვანის ან შეწოვის ადგილას) და ზოგადი მოქმედების (პრეპარატი გადადის სისხლში და ზოგად, სისტემურ მოქმედებას ავლენს) საშუალებებად. თუმცა საგულისხმოა, რომ განსაზღვრული ოდენობის პრეპარატი ყოველთვის შეიწოვება სისხლში, ამიტომ შესაძლებელია, ვეტერინარული პრეპარატების ადგილობრივი უკონტროლო გამოყენება სისტემური გვერდითი მოვლენების მიზეზად იქცეს.
- ▶ ძალიან მნიშვნელოვანია ინსტრუქციის მიხედვით სწორად განისაზღვროს პრეპარატის ცხოველს საკვების მიღების წინ უნდა მივცეთ თუ შემდეგ, ვინაიდან კუჭის გარემო იმის მიხედვით იცვლება, სავსება თუ არა კუჭი, ეს კი პრეპარატის შეწოვაზე ახდენს გავლენას. ყველა პრეპარატის ანოტაციაში მითითებულია, როგორ უნდა მოხდეს მისი მიღება. მაგალითად, “მიეცით საკვებთან ერთად” ნიშნავს, რომ ვეტ. პრეპარატმა შესაძლოა გააღიზიანოს ცარიელი კუჭის ლორწოვანი გარსი. ასეთი პრეპარატის მიცემა რეკომენდებულია ჭამის დროს ან ჭამის დასრულებისთანავე. თუ წარწერა, პირიქით, გვაფრთხილებს, რომ პრეპარატი ცარიელ კუჭზე უნდა მისცეთ, რეკომენდებულია მისი ცხოველისთვის მიცემა ჭამამდე 1 საათით ადრე ან ჭამიდან 2 საათის შემდეგ. რეკომენდებულია ცხოველის მიერ პრეპარატის მიღებისას მოხდეს მხოლოდ წყლის დაყოლება (თუ პრეპარატის ანოტაცია მიღების სხვა წესზე არ მიგვითითებს), არც უწყლოდ პრეპარატის მიღებაა სწორი, წყალი ვეტ. პრეპარატს ხსნის და მის შეწოვას აადვილებს.
- ▶ აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ცხოველის ცოცხალი მასა (წონა) იმ პრეპარატების გამოყენების შემთხვევაში, რომელიც ცხოველს ენიშნება ცოცხალი მასის მიხედვით. ვეტ. პრეპარატის გაყოფის დროს შესაძლოა ვერ დავიცვათ ზუსტი დოზირება, შესაბამისად რეკომენდებულია ტაბლეტის გაყოფა მხოლოდ მაშინ, როცა მას გამყოფი ხაზი აქვს. დაუშვებელია დოზის გაყოფის მიზნით კაფსულის გახსნა, რადგან ვერ მოხდება მისი ზუსტი დოზირება, ასევე ზოგ შემთხვევაში შესაძლოა კაფსულა განკუთვნილი იყოს ვეტ. პრეპარატის კუჭის წვენიდან დასაცავად, მისი გახსნით კი პრეპარატის ეფექტი დაიკარგება.

- ▶ ვეტ. პრეპარატმა, რომ განახორციელოს თავისი მოქმედება რეკომენდებულია დავიცვათ ვეტერინარის მიერ შერჩეული დოზა და მიღებათა შორის ინტერვალი. დოზის შერჩევა ხდება ცხოველის წონის, ასაკის, ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით. მიღებათა შორის ინტერვალის დარღვევა რეალურად დოზის შეცვლის ტოლფასია. ვეტ. პრეპარატის, მაგ. ანტიპარაზიტული საშუალების დოზის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ცხოველის ინტოქსიკაცია და სიკვდილი.
- ▶ ზოგიერთმა ვეტ. პრეპარატმა რომ იმოქმედოს, საჭიროა, სისხლში მისი განსაზღვრული კონცენტრაცია შეიქმნას (მაგ.: ანტიბიოტიკები, სულფანილამიდები). ამ კონცენტრაციას პრეპარატი პირველი მიცემისთანავე იშვიათად აღწევს, რადგან მიცემასთან ერთად განუწყვეტლივ ხდება მისი დაშლა და გამოყოფა. რამდენიმე მიღების შემდეგ კი სისხლში უკვე იქმნება პრეპარატის სასურველი კონცენტრაცია, თუმცა მის შესანარჩუნებლად, პრეპარატის რეგულარულად მიცემა საჭირო.
- ▶ ვეტერინარული პრეპარატების, მათ შორის ანტიბიოტიკების, გამოყენებისას რეკომენდებულია ფერმაში იქონიოთ სანერი დაფა, ან საკანცელარიო დაფა და სამუშაო ფურცლები, სადაც მიეთითება დამუშავებული საქონლის საყურე ნიშნის ნომერი, გამოყენებული პრეპარატი და პრეპარატის ლოდინის (მოცდის/დაყოვნების) პერიოდი. აღნიშნულ ჩანაწერებს შემდგომ გადაიტანთ ჩანაწერების ჟურნალში. თუ ვერ მოხდება ნამკურნალევი ცხოველის განცალკევება, სასურველია ასეთი პირუტყვი მოინიშნოს ცხოველებისთვის განკუთვნილი სპეციალური დროებითი ფერადი მარკერით, რათა მომვლელი ან/და მწველავი ფლობდეს ცხოველის დამუშავების შესახებ ინფორმაციას და არ მოხდეს ასეთი ცხოველების რძის არევა სხვა ჯანმრთელი საქონელიდან მიღებულ რძესთან.
- ▶ შეფუთული ინდუსტრიული ცხოველის საკვების შეძენისას აუცილებლად ეტიკეტის მეშვეობით გაეცანით მის შემადგენლობას, რომ არ შეიცავს ის ანტიმიკრობულ საშუალებებისა თუ სხვადასხვა ჰორმონებს.

### **სიფრთხილის ზომები**

გათვალისწინეთ, რომ ვეტერინარული პრეპარატები, თავის მხრივ არის ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებები და მათი გამოყენებისას მნიშვნელოვანია დავიცვათ სიფრთხილის ზომები:

- ▶ ვეტერინარული პრეპარატის ყიდვისას ან გამოყენებისას გადაამოწმეთ ეტიკეტზე დატანილი ვარგისობის ვადა. არ გამოიყენოთ ვეტერინარუ-

ლი პრეპარატი, რომელსაც გასული აქვს შენახვის (ვარგისობის) ვადა, იცოდეთ ეს შესაძლებელია ცხოველის მოწამვლით/სიკვდილით დამთავრდეს. განსაკუთრებით მცირე აქვს შენახვის ვადა იმ ვეტერინარულ პრეპარატებს, რომელთა შერევა ხდება ცხოველის საკვებში.

- ▶ გამოყენებამდე წაიკითხეთ ანოტაცია (ინსტრუქცია), მათ შორის პრეპარატის გამოყენების უსაფრთხოების ზომები და დარწმუნდით, რომ ვეტერინარული პრეპარატის ცხოველისთვის მიცემამდე თქვენთვის ყველაფერი გასაგებია.
- ▶ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვეტერინარული პრეპარატის დოზირების, მკურნალობის ხანგრძლივობისა და სქემის დაცვა და პრეპარატის სწორად მიცემა.
- ▶ ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ სახეობის და ასაკის ცხოველზე, რისთვისაც დარეგისტრირებულია, აღიარებული სქემით (მათ შორის დოზა, მიცემის გზები და ჯერადობა), გარდა იმ შემთხვევისა თუ ვეტერინარის მიერ არ ხდება სხვა სქემით დანიშვნა.
- ▶ არასოდეს გამოიყენოთ ერთ ცხოველზე დანიშნული მკურნალობა სხვა ცხოველისათვის, თუ ამის უფლება არ მოგცათ ვეტერინარმა. ასეთი მკურნალობა მიეკუთვნება აკრძალულ მკურნალობას.
- ▶ ყოველთვის ბოლომდე დაასრულეთ მკურნალობა, რადგან ერთხელ უკვე დანიშნული და გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატით (მაგ. ანტიმიკრობული საშუალება) მკურნალობის სრული კურსი უნდა ჩატარდეს, იმისათვის, რომ შემცირდეს ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარების შესაძლებლობა.
- ▶ დაუშვებელია არარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების, მათ შორის სამკურნალო საშუალებების (სამედიცინო დანიშნულების პრეპარატების) გამოყენება (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა), რადგან ასეთი პრეპარატების მოქმედების მექანიზმი ცხოველებზე შესწავლილი არ არის და რისკის ქვეშ აყენებთ თქვენი ცხოველის ჯანმრთელობას და ამ ცხოველისგან მიღებული სურსათის ადამიანის მიერ მოხმარების შემთხვევაში - ადამიანის ჯანმრთელობას.
- ▶ ვეტერინარული პრეპარატის გამოყენებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის პრეპარატის „გვერდითი მოქმედების“ ცოდნა. გვერდითი მოქმედება ეს არის იმ არასასურველ მოვლენათა ერთობლიობა, რომლებიც ვეტერინარული პრეპარატის მიღების შედეგად იჩენს თავს და როგორც წესი, მკურნალობის დასრულების შეწყვეტის შემდეგ ქრება, თუმცა ხშირად მწვავედ და ძლიერად გამოვლინდება, ზოგჯერ – მკურნალობიდან წლების შემდეგაც კი გამოვლინდება. გვერდითი

მოქმედება სხვადასხვა კლინიკური სიმპტომებით შეიძლება გამოვლინდეს: გამონაყარი, ლებინება, ტემპერატურის მომატება, დიარეა (ფაღარათი), შეკრულობა და სხვა.

- ▶ გვერდითი მოქმედება შესაძლოა ნებისმიერი ვეტერინარული პრეპარატის მიღების ფონზე განვითარდეს. მისი აღმოცენება არც იმას ნიშნავს, რომ ვეტერინარული პრეპარატი უხარისხოა, არც იმას, რომ ვეტერინარმა შეუსაბამო პრეპარატი დანიშნა.
- ▶ როდესაც გვერდითი მოქმედება სერიოზულ ხასიათს იღებს, რეკომენდებულია ფერმერმა მიმართოს ვეტერინარს, რათა საერთოდ მოიხსნას ვეტერინარული პრეპარატი, მოიძებნოს მისი ალტერნატიული პრეპარატი ან დაინიშნოს კორექტორი სამკურნალო პრეპარატი, რომელიც ძირითადი ვეტერინარული პრეპარატის გვერდით მოქმედებას დააბალანსებს. გადაწყვეტილებას ინდივიდუალურად ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე იღებს ვეტერინარი.
- ▶ რა გვერდით მოქმედებასაც არ უნდა იწვევდეს პრეპარატი, მისი მიცემა ცხოველისთვის აუცილებლად ვეტერინარის ნებართვითა და მეთვალყურეობით უნდა მოხდეს. ზოგიერთი ვეტ. პრეპარატის მიცემის შეწყვეტას თავისი წესები აქვს (სტეროიდული ანთების საწინააღმდეგო, ჰორმონალური პრეპარატები), რომელთა დაუცველობით მხოლოდ გაიზრდება არასასურველი მოვლენების რაოდენობა.
- ▶ ვეტერინარული პრეპარატების შენახვის ადგილზე იქონიეთ მარკერი, ვეტერინარის, ფარმაცევტის, უახლოესი საავადმყოფოს ტელეფონის ნომრები, რომ საჭიროების შემთხვევაში არ მოგიწიოთ მათი ძებნა.

## **ვეტერინარული პრეპარატების განადგურება**

უსაფრთხოდ გაანადგურეთ გამოყენებული, გამოუყენებელი ან ვადგასული ვეტერინარული პრეპარატები, მათი შეფუთვები და ვეტერინარული მოწყობილობები (მათ შორის, ნემსები, შპრიცები, ბასრი საგნების კონტეინერი და სხვა). პრეპარატის გასანადგურებლად ყოველთვის იხელმძღვანელეთ ინსტრუქციის გათვალისწინებით, სადაც აუცილებლად მოცემული უნდა იყოს დარიგებები პრეპარატის განადგურების შესახებ (პრეპარატების მწარმოებლები ხშირ შემთხვევაში იძლევიან დარიგებას განადგურების მიზნით პრეპარატების ტემპერატურული დამუშავების შესახებ). ნუ შეინახავთ განადგურებამდე სხვა სახის ნარჩენებთან (მ.შ. საყოფაცხოვრებო ნარჩენები) ერთად და ნუ გაანადგურებთ მათთან ერთად, ნუ დააქცევთ ძირს, ნუ ჩაღვრით სადრენაჟო სისტემაში ან ტუალეტში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს დაშვებულია ინსტრუქციით.

## ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია

საქართველოში ნებისმიერი ვეტერინარული პრეპარატი, როგორც იმპორტული, ასევე ადგილობრივად წარმოებული, ბაზარზე განთავსებამდე და გამოყენებამდე ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას. ვეტერინარული პრეპარატების, მათ შორის ყველა განსხვავებული დოზისა და შეფუთვის მქონე პრეპარატის, ასევე, სხვადასხვა მახასიათებლების ცვლილების რეგისტრაციას ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო. განასხვავებენ ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნულ და აღიარებით რეჟიმებს. კონკრეტული ვეტერინარული პრეპარატის რეგისტრაციის სტატუსი შეგიძლიათ გადაამოწმოთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე <http://nfa.gov.ge>, შესაბამის ველში - „ვეტერინარია“ „ინფორმაცია ვეტ-პრეპარატების შესახებ“, სადაც იხილავთ ბმულს „საქართველოში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების ნუსხა“ (<http://nfa.gov.ge/ge/veterinaria-40/yvelaferi-vet-preparatebis-she-saxeb>). ვეტერინარული პრეპარატების ნუსხაში, სახელმწიფო რეგისტრში შეტანილია ვეტერინარული პრეპარატების სავაჭრო სახელწოდება, ასევე მითითებულია თუ რომელ ფარმაკოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება პრეპარატი, რა ძირითად მოქმედ ნივთიერებებს შეიცავს და რა რაოდენობით, ფორმა, დოზა, კონცენტრაცია, მწარმოებელი ქვეყანა/კომპანია/საწარმო, სამიზნე ცხოველთა სახეობა, რეგისტრაციის თარიღი და მოქმედების ვადა, სარეგისტრაციო ნომერი და ა.შ.

## ვეტერინარული პრეპარატის ანოტაცია (ინსტრუქცია)

ვეტერინარულ პრეპარატს ეტიკეტთან ერთად თან უნდა ახლდეს ანოტაცია (ინსტრუქცია), სადაც მითითებულია ვეტერინარული პრეპარატის შედგენილობა და გამოშვების ფორმა, ფარმაკოლოგიური თვისებები, ჩვენებები, დოზირების რეჟიმი, გვერდითი მოქმედება, უკუჩვენებები, განსაკუთრებული მითითებები, შენახვის პირობები და ვადა.

- ▶ შედგენილობა აღწერს ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას (მოქმედ ნივთიერებას) და დამხმარე ნივთიერებებს (შემავსებლები) და მათ რაოდენობებს. გამოშვების ფორმაში დახასიათებულია ვეტერინარული პრეპარატის ფორმა, მაგ. საინექციო ხსნარი, გრანულირებული ფხვნილი მინის ფლაკონში, და ა.შ.
- ▶ ფარმაკოლოგიურ თვისებებში აღწერილია რომელ ფარმაკოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება ვეტერინარული პრეპარატი და მისი მოქმედების მექანიზმი. ჩვენებებში მითითებულია ვეტერინარული პრეპარატის გამოყენების არეალი. დოზირების რეჟიმი გვაცხადებს ინაფორმაციას სამიზნე ცხოველთა სახეობებზე, პრეპარატის დანიშვნის/შეყვანის გზებზე, ჭერადობასა და დოზაზე.
- ▶ გვერდით მოქმედებაში აღწერილია თუ რა არასასურველი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ვეტერინარულ პრეპარატს და ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე აღწერილია რა პრეპარატი შეიძლება იქნეს გამოყენებული გვერდითი მოქმედების შესამცირებლად. მაგ. შესაძლებელია პრეპარატმა გამოიწვიოს ანაფილაქსიური (ალერგიული) რეაქციები. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ადრენალინის შეყვანა.
- ▶ უკუჩვენებებში განმარტებულია ყველა ის დაავადება ან/და მდგომარეობა, რომლის დროსაც არ არის რეკომენდებული ვეტერინარული პრეპარატის მიცემა. განსაკუთრებული მითითებები აღწერს უსაფრთხოების ზომებს და საჭიროების შემთხვევაში, ლოდინის (მოცდის) პერიოდს. შენახვის პირობები და ვადები განსაზღვრული უნდა იქნეს მწარმოებლის მიერ და ანოტაციის ამ ნაწილში დაიტანება.

## ჩანაწერების წარმოება

საკანონმდებლო მოთხოვნაა, რომ მიკვლევადობის პრინციპებიდან (იხ. ტერმინთა განმარტება) გამომდინარე ფერმერმა, რომელიც ფლობს სასურსათო დანიშნულების ცხოველების პირველად წარმოებას, უნდა აწარმოოს სრული ჩანაწერები ყველა შესყიდული და გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატების (ცხოველის საკვების სახით მიწოდებულის ჩათვლით) შესახებ, მათ შორის:

### ვეტერინარული პრეპარატის შეძენის შესახებ

- ▶ ვეტერინარული პრეპარატის დასახელება
- ▶ შეძენის (მიღების) თარიღი
- ▶ შეძენილი რაოდენობა
- ▶ პარტიის (სერიის) ნომერი
- ▶ შენახვის ვადა
- ▶ მომწოდებლის სახელი და მისამართი/შეძენის ადგილი (მისამართი)

### ვეტერინარული პრეპარატის გამოყენების შესახებ

- ▶ ვეტერინარული პრეპარატის დასახელება
- ▶ გამოყენების თარიღი
- ▶ გამოყენებული რაოდენობა (დოზა)
- ▶ საქონლის საიდენტიფიკაციო ნომერი
- ▶ გამოყენების მიზეზი (დიაგნოზი)
- ▶ ლოდინის (მოცდის) პერიოდი რძისთვის და ხორცისთვის
- ▶ ნამკურნალები ცხოველების რაოდენობა მათი საიდენტიფიციო ნომრების მითითებით
- ▶ ინფორმაცია პირის შესახებ ვინც უშუალოდ მისცა ცხოველს ვეტერინარული პრეპარატი
- ▶ განადგურების თარიღი

იმის გათვალისწინებით, რომ სურსათის სფეროში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებით განსაზღვრულია, რომ თავიდან უნდა იქნას აცილებული სასურსათო დანიშნულების ცხოველებზე გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების მოხვედრა ადამიანისათვის განკუთვნილ ცხოველური წარმოშობის სურსათში, მნიშვნელოვანია, რომ

შეინახოთ თქვენს ცხოველებზე გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ამასთან, ჩანაწერების წარმოება თქვენი კომერციული ინტერესიცაა:

- ▶ გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატის ვარგისობის ვადის შესახებ;
- ▶ იმ პირის შესახებ, რომელმაც უშუალოდ მისცა ცხოველს ვეტერინარული პრეპარატი;
- ▶ მკურნალობის დასრულების თარიღის შესახებ;
- ▶ იმ თარიღის შესახებ, როდესაც დასრულდა ლოდინის პერიოდი ხორცისთვის, რძისთვის ან ნებისმიერი სხვა ცხოველური პროდუქტისთვის.

როდესაც ცხოველებს ჩაუტარდებათ მკურნალობა, მნიშვნელოვანია გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატების განადგურების შესახებაც ჩანაწერების წარმოება, კერძოდ:

- ▶ განადგურების თარიღი;
- ▶ როგორ და სად დაექვემდებარა ვეტერინარული პრეპარატი განადგურებას.

ასეთი ჩანაწერების ხელმისაწვდომობა ფერმერმა უნდა უზრუნველყოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმებისთვის სულ მცირე ხუთი წლით. ფერმაში ვეტერინარული პრეპარატების შექმნისა და გამოყენების ჩანაწერების წარმოების მიზნით შეგიძლიათ ისარგებლოთ მოწოდებული ჩანაწერების ფორმების შაბლონებით (იხ. დანართი # 1).

# ვეტერინარული პრეპარატის ლოდინის პერიოდი და ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენები

**ლოდინის (მოცდის) პერიოდი ეს არის ვეტერინარული პრეპარატის ბოლო დოზის მიღებასა და ამ ცხოველებიდან მიღებული სასურსათო პროდუქტების ნარმოებას შორის პერიოდი, რა დროსაც დაუშვებელია ცხოველის რძის ან ხორცის ადამიანის მიერ სურსათად მოხმარება, ვინაიდან ცხოველის ორგანიზმიდან ჯერ კიდევ არ არის გამოდევნილი ვეტ. პრეპარატის ნარჩენები და მათი შემცველობა აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმას.**

ვეტერინარული პრეპარატის ორგანიზმში მოხვედრისთანავე ხდება მისი შეწოვა, განაწილება და ქსოვილებში ჩალაგება/განთავსება. პრეპარატის მოქმედების მექანიზმიდან გამომდინარე, რამოდენიმე ხანში, იწყება მისი ნაწილობრივი გამოყოფა გამოყოფი სისტემების (ძირითადად თირკმელების) საშუალებით. სხვადასხვა პრეპარატი ხასიათდება გამოყოფის სხვადასხვა ხანგრძლივობით. სწორედ ამიტომ, ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებისას შესაბამისი ლოდინის პერიოდის დაუცველობა განაპირობებს ცხოველსა და ამ ცხოველიდან მიღებულ სურსათში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების დაგროვებას. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილმა მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარზე მეტმა ქიმიურმა ნივთიერებებმა დროთა განმავლობაში შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები, კარცენოგენული (ონკოპათოლოგიები), მუტაგენური (გენში მუტაციური ცვლილებები), ტერატოგენული (სიმახინჯეები) მოქმედებები, ნერვული აშლილობები, მეტაბოლური, რესპირატორული და სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, აგრეთვე, ბაქტერიების რეზისტენტული შტამების წარმოქმნა და გავრცელება.

როგორც ზევით აღინიშნა ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებისას შესაბამისი ლოდინის პერიოდის დაუცველობა განაპირობებს ცხოველსა და ამ ცხოველიდან მიღებულ სურსათში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების დაგროვებას (იხ. დანართი # 2). **ვეტ. პრეპარატების ნარჩენების ორგანიზმზე უარყოფითად ზემოქმედების ხარისხიდან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ის ვეტერინარული პრეპარატები, რომელთა გამოყენება აკრძალულია ან/და შეზღუდულია (დაიშვება გარკვეული გამოწვევის შემთხვევით):**

- ▶ საქართველოს მთავრობის დადგენილება №22-ის შესაბამისად განსაზღვრულია აკრძალული ფარმაცოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და დამაბინძურებლები (იხ. დანართი # 3).
- ▶ საქართველოს მთავრობის N10 დადგენილების შესაბამისად აკრძალულია, აგრეთვე ბეტა-აგონისტების, ჰორმონული და თირეოსტატიკური ნივთიერებების (სუბსტანციების) გამოყენება, ასეთი ნივთიერებებით ნამკურნალევი ცხოველის ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის დაკვლა, ასევე ცხოველებიდან მიღებული სურსათის ბაზარზე განთავსება და გადამუშავება (იხ. დანართი # 4).

მსხვილფეხა საქონლის მკვეთრად განსაზღვრული თერაპიული მკურნალობისათვის, დაშვებულია ბეტა-აგონისტების გამოყენებით დამზადებული ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება, რასთან დაკავშირებითაც, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს. აკრძალულია ისეთი ბეტა-აგონისტების შემცველი ვეტერინარული პრეპარატების შენახვა სადგომის მფლობელის მიერ, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ძროხებში მშობიარობის დროს ტოკოლოზის გამონწვევისათვის. აკრძალულია, აგრეთვე, პროდუქტიული და სანაშენე ცხოველების თერაპიული მკურნალობა სიცოცხლის რეპროდუქციული ციკლის ბოლოს.

# ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლი

ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო. ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებია: ინსპექტირება (გეგმიური და არაგეგმიური), მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება და ზედამხედველობა. საქართველოს მთავრობის N22 დადგენილებით განსაზღვრულ („ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებები (სუბსტანციები), აკრძალული ნივთიერებები (სუბსტანციები), ვეტერინარული პრეპარატები და დამაბინძურებლები“ (დანართი # 3)) ნივთიერებასა (სუბსტანციასა) და მათ ნარჩენებზე მონიტორინგი ხორციელდება ცოცხალ ცხოველში, ცხოველის ექსკრემენტში, ცხოველის ბიოლოგიურ სითხეში (მაგ. სისხლი), ქსოვილებში (მაგ. ხორცი, თირკმელი, ღვიძლი), ცხოველურ პროდუქტში, ცხოველის საკვებასა და ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალში. აღნიშნული მონიტორინგის პროგრამა მიმართულია აკრძალული მკურნალობის გამოვლენისა და მომხმარებლის უვნებელი სურსათით უზრუნველსაყოფად. ნიმუშების აღება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ადგილას, სადაც ხდება ცხოველის მოშენება ან რეალიზაცია.

**არასოდეს გამოიყენოთ აკრძალული ნივთიერებების შემცველი პრეპარატები.** ასეთი პრეპარატების გამოყენების შემთხვევაში ცხოველის ორგანიზმიდან მისი ნარჩენების გამოდევნას ძალიან დიდ დროს საჭიროებს, შესაძლებელია მათი გამოდევნა სიცოცხლის განმავლობაშიც კი არ მოხდეს.

**დაუშვებელია არარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებაც.** შესაბამისად, თუ აკრძალული ნივთიერებების შემცველი ან არარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატებით ნამკურნალები ცხოველი (ანუ აკრძალულ მკურნალობას დაქვემდებარებული ცხოველი) ან მისგან წარმოებული პროდუქტი მოხვდება ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების სახელმწიფო კონტროლის პროგრამაში მოხდება აკრძალული მკურნალობის გამოვლენა. ასეთი პროდუქტი ექვემდებარება ბაზრიდან გამოწვევას (გამოთხოვას) და განადგურებას. სასაკლაოზე კი ასეთი ტანხორცის აღმოჩენის შემთხვევაში იგი ექვემდებარება განკარგვას (იხ. ტერმინთა განმარტება) საქართველოს მთავრობის N605 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად. სასაკლაოზე ცოცხალ ცხოველში ან ტანხორცში აკრძალული ნივთიერების აღმოჩენა კი საფუძველია ფერმაში არაგეგმიური ინსპექტირების ჩატარებისა.

გარდა ზემოთ განხილული მონიტორინგის პროგრამისა, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში შესაძლოა განახორციელოს ინსპექტირება<sup>(173)</sup> პირველად წარმოებაში (ფერმაში), რომლის დროსაც მოწმდება ფერმერის მიერ ვეტერინარული პრეპარატების შენახვა/გამოყენებისა და ჩანაწერების წარმოება. საქართველოს მთავრობის N533 დადგენილებით განსაზღვრულია პირველადი წარმოების შესაბამისობის შეფასების აქტები. ინსპექტირების დროს გამოვლენილი შეუსაბამობისას ბიზნესოპერატორი ექვემდებარება საჯარიმო სანქციებს (იხ. სანქციები).

სახელმწიფო კონტროლის პროგრამის შედეგების თანახმად, ფერმერები განსაკუთრებით აქტიურად მოიხმარენ ისეთ აკრძალულ ნივთიერებას, როგორცაა ქლორამფენიკოლი (ლევომიციტინი), რომელიც მსგავსად სხვა აკრძალული ნივთიერებებისა (იხ. დანართი # 3) ხასიათდება მაღალი ტოქსიურობით (არის გენოტოქსიური, ციტოტოქსიური და ჰემატოტოქსიური, რაც ნიშნავს, რომ იწვევს ცვლილებებს გენის, უჯრედისა და სისხლის დონეზე), გროვდება ცხოველის ორგანიზმში და გადაეცემა სასურსათო ჯაჭვში, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთი ცხოველიდან მიღებული სურსათის მოხმარებისას პრეპარატის ნარჩენები მოხვდება ადამიანის ორგანიზმში.

# რძისა და ხორცში ანტიბიოტიკების ნარჩენების აღმოჩენა

ანტიბიოტიკებისა და სხვა ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების აღმოჩენის თანამედროვე გამოკვლევის მეთოდები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი მგრძობელობითა და სპეციფიურობით და იძლევიან ნივთიერების კვალის აღმოჩენის საშუალებასაც, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც არ უნდა უმცირესი დოზით იყოს ფარმაცოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცველობა ორგანიზმში, შესაძლებელია მათი აღმოჩენა, როგორც ბიოლოგიურ სითხეებში, ასევე რძესა და ხორცში. გამოკვლევები ტარდება ELISA, Liquid chromatography-tandem mass spectrometry, LC-MS/MS აპარატურების საშუალებით.

ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების გამოკვლევა შესაძლოა განხორციელდეს რძისა და ხორცის წარმოების საწარმოო ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე (ფერმაში, რძის შემკრები, რძის გადამამუშავებელი, სასაკლაო), საფრთხის ანალიზიდან გამომდინარე სხვადასხვა სიხშირითა და პერიოდულობით და სხვადასხვა მეთოდით, კერძოდ:

ანტიბიოტიკების განსაზღვრა რძეში ფერმერების და რძის შემგროვებელი ბიზნესოპერატორების მიერ შესაძლებელია სწრაფი ტესტის, კერძოდ კი მეთილენლურჯის ინდიკატორით განხორციელდეს. მეთოდი დაფუძნებულია ინჰიბიტორების (პენიცილინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი, ოქსიტეტრაციკლინი, ოლვანდომიცინი, ფორმალინი, წყალბადის ზეჟანგი) მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმების (თერმოფილური სტრეპტოკოკები) გამრავლებაზე რძეში.

საქართველოში, დღეისათვის, ფერმერები და რძის შემგროვებელი პუნქტები აქტიურად გამოიყენებენ ანტიბიოტიკების აღმოსაჩენად ისეთ სწრაფ ტესტს, როგორცაა 4Sensor BSCT - KIT060, რომლის საშუალებით შესაძლებელია ტეტრაციკლინის, ქლორამფენიკოლის (ლევომიციტინის), სტრეპტომიცინის და ბეტა-ლაქტამის აღმოჩენა. აღნიშნული სწრაფი ტესტის უპირატესობა ის არის, რომ მას არ სჭირდება არანაირი მოსამზადებელი სამუშაოები და 10 წუთში ტესტი იძლევა პასუხს (ტესტზე ჩნდება წითელი ხაზები დასახელებული ატიბიოტიკების შემცველობისას) ან შესაძლებელია სპეციალური წამკითხველის გამოყენება. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე - <https://unisensor.be/en/catalog/4sensor-bsct-kit060-5f-080ca0-b211-426f-9647-73d386c4d87b>

აღნიშნულ ლინკებზე ასევე შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია იმ სწრაფი ტესტების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია ჩატარდეს პირველად

ნარმოებასა (ფერმა) და რძის შემგროვებელ პუნქტებში - <https://cordis.europa.eu/article/id/395034-antibiotics-analysis-of-fresh-milk-to-be-conducted-on-the-farm> ან [https://unisensor.be/en/catalog?filter={%22ProductAttributes%22:{%221%22:\[1\]}}](https://unisensor.be/en/catalog?filter={%22ProductAttributes%22:{%221%22:[1]}}) ან [http://bioland-geo.com/?page\\_id=64&lang=ka](http://bioland-geo.com/?page_id=64&lang=ka).

საქართველოში ხორცში ანტიბიოტიკების ნარჩენების კვლევა მაგალითად შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში, ამ ეტაპზე მხოლოდ შემდეგ ნივთიერებებზე:

ა) ნიტროფურანების ჯგუფის (AOZ, AMOZ, AHD, SEM);

ბ) ანტიბიოტიკების: ტეტრაციკლინის ჯგუფის, ქინოლონების, ცეპტიოფურის, თიამფენიკოლის, სტრეპტომიცინისა და თილოზინის ჯგუფების.

# ანტიმიკრობული რეზისტენტობა

ანტიმიკრობული საშუალებები (პრეპარატები) - ზოგადად, ეს ტერმინი მიიჩნევა ანტიბიოტიკების ეკვივალენტად. თუმცა მას აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა და მოიაზრება სამკურნალო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციების, ასევე პარაზიტების (მაგ. ჰელმინთების), ვირუსების და სოკოებით გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ. <sup>(WHO)</sup>

**ანტიმიკრობული რეზისტენტობა კი ეს არის ინფექციის გამომწვევი აგენტის უნარი რეზისტენტობა (მდგრადობა) გაუნიოს ერთ ან რამოდენიმე პრეპარატს, რომელიც ერთ დროს წარმატებულად გამოიყენებოდა ამავე აგენტის სანიანალმდეგოდ.** მაგ. კონკრეტული ანტიბიოტიკის მიმართ რეზისტენტული ბაქტერიის წარმოქმნის შედეგად ეს ანტიბიოტიკი ბაქტერიაზე სუსტად ან თითქმის ვეღარ მოქმედებს. რეზისტენტობა შეიძლება განვითარდეს ბუნებრივად, შემთხვევითი მუტაციების გზით ან/და ანტიბიოტიკების მოქმედების შედეგად. მიკროორგანიზმებს შეუძლიათ ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის გენეტიკური ინფორმაციის შთამომავლობით გადაცემაც.

ყველა სახის ანტიმიკრობული საშუალების არარაცონალური გამოყენება ხელს უწყობს ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარებას და იგი ვრცელდება ადამიანებს, ცხოველებს და გარემოს საზღვრებს შორის დღემდე ბოლომდე ამოუხსნელი კომპლექსური გზებით (იხ. დანართი # 5).

სამწუხაროდ, დღეისათვის ანტიბიოტიკები მეცხოველეობაში გამოიყენება არა მხოლოდ ცხოველების სამკურნალოდ, არამედ, დაავადებებისგან დაცვის (პრევენციის) მიზნითაც, აგრეთვე, როგორც ზრდის სტიმულატორებად. ეს ყველაფერი კი **წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ანტიმიკრობული რეზისტენტობის წარმოქმნისა და გავრცელებისთვის!!!** იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ანტიბიოტიკების ეფექტურობა მნიშვნელოვანია მათი რაციონალურად, გონივრულად და პასუხისმგებლობით გამოყენება, კერძოდ დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:

## 1) ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენების პრევენცია

- ▶ ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენების შემცირება მეცხოველეობის კარგი პრაქტიკის დანერგვით. ფერმერმა უნდა უზრუნველყოს, რომ ფერმის მართვა განხორციელდეს ისე, რომ დაავადების განვითარების რისკი შემცირდეს. მეცხოველეობის სანიმუშო პრაქტიკა,

როგორცაა კარგი ჰიგიენა, კარგი ვენტილაცია, სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა, ეფექტური ბიოუსაფრთხოების ზომები და ჯოგის ჯანმრთელობის (პრევენციის) სწორი დაგეგმვა (ჯანმრთელობის გეგმის შემუშავება), მათ შორის შესაფერისი კარანტინის დანერგვა და ვაქცინაციის შესაბამისი სტრატეგიები, რაც დაეხმარება ფერმერს შეამციროს დაავადების წარმოშობა;

- ▶ ანტიბიოტიკები არ უნდა იქნას გამოყენებული დაავადების თავიდან ასაცილებლად (პრევენციისთვის), ან ფერმაში არსებული ჰიგიენის ცუდი პრაქტიკის ან არაადეკვატური მეცხოველეობის პირობების კომპენსირების მიზნით;
- ▶ ცხოველზე სხვადასხვა მანიპულაციებისას გამოყენებული უნდა იქნეს სტერილური იარაღები, რათა თავიდან ავიცილოთ ინფექციები და შესაბამისად ანტიბიოტიკების გამოყენებაც;
- ▶ დაავადებული ცხოველი უნდა განთავსდეს იზოლირებულად და თუ შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს არიდებული ანტიმიკრობული საშუალებების მთლიან ჯოგში გამოყენება;
- ▶ თუ ცხოველს ან ცხოველთა ჯგუფს უფიქსირდება განმეორებადი ინფექციები, რომლებიც კვლავ საჭიროებენ ანტიბიოტიკებით მკურნალობას უნდა მოხდეს დაავადების ხელახალი გაჩენის მიზეზის დადგენა, წარმოების პირობებისა და მართვის პრაქტიკის შეცვლა;
- ▶ ანტიმიკრობული საშუალებების მოხმარების შესამცირებლად ფერმერმა დაავადებების კონტროლისათვის უნდა შეასრულოს ოთხი სახელმძღვანელო პრინციპი: (Ruma)

**დაავადების კონტროლის ოთხი სახელმძღვანელო პრინციპი**

<p>წესი N1</p>	<p>ფერმაში ახალი მსხვილფეხა საქონლის შეყვანისას ბიოსაფრთხოების ზომების დაცვა</p>	<p>დაავადება ვრცელდება ფერმების გარშემო და ფერმებს შორის სხვა მსხვილფეხა საქონელთან კონტაქტით. ცხოველების შემონმება დაგეხმარებათ შეამციროთ დაავადების გავრცელება. დაიმახსოვრეთ ინფექციის გადაცემა შეიძლება მოხდეს არაპირდაპირი გზითაც - ადამიანებით, ნემსით, ქირურგიული ინსტრუმენტით, ნაკელით და სხვა.</p>
<p>წესი N2</p>	<p>„სტრესი“ მომაკვდინებელია</p>	<p>დასტრესილი ცხოველი შესაძლებელია უფრო ადვილად დაავადდეს. ეს მხოლოდ გამოხატულ ფიზიკურ სტრესს არ გულისხმობს, როგორცაა სიმჭიდროვე ან მართვის პროცედურები, არამედ აგრეთვე, მიკროორგანიზმებს, რომლებიც იწვევენ იმუნური სისტემის სტრესს. მიზანშეწონილია ცხოველისათვის ნაკლებ სტრესულ პირობებში (თუ კი შესაძლებელია) ჩატარდეს ისეთი პროცედურები, როგორცაა კასტრაცია, ხბოს მერძეულ ჯოგში შეყვანა და სხვა.</p>
<p>წესი N3</p>	<p>მართვისა და ჰიგიენის საუკეთესო პრაქტიკა</p>	<p>არ არსებობს ჰიგიენის, ბიოსაფრთხოებისა და ფერმის მართვის საუკეთესო პრაქტიკის შემცველი წესები. შენობებისა და აღჭურვილობის რეცხვა და ჰიგიენა საუკეთესო პრევენციაა. დაავადებები ვრცელდება ცუდი ჰიგიენისა და მართვის არასწორი პრაქტიკის დროს.</p>
<p>წესი N4</p>	<p>კარგი კვება</p>	<p>ხსენის მიღებით ხდება მნიშვნელოვანი ანტისხეულების გადაცემა ხბობებზე, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვას და იმუნური სისტემის ჩამოყალიბებას. სრულყოფილი (ბალანსირებული) კვება, საჭირო რაოდენობის კვალი ელემენტების, ვიტამინებისა და ანტიოქსიდანტების შემცველობით, ასევე, მნიშვნელოვანია მსხვილფეხა საქონლისათვის, იმუნური სისტემის გასაძლიერებლად და დაავადებთან გასამკლავებლად.</p>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასტიტების სათანადო კონტროლი ფერმაში, ვინაიდან ფერმაში ანტიბიოტიკების გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მასტიტია. თუმცა, ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ ფერმერებმა ანტიბიოტიკები პირდაპირ დაამატონ რძეს, რათა შეამცირონ სიცოცხლისუნარიანი ბაქტერიების რაოდენობა, რაც ყოველად დაუშვებელია, რადგან გარდა იმისა, რომ ასეთი რძიდან არ მიიღება მაღალი ხარისხის რძის პროდუქტები, ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმთელობას და მისი სიცოცხლის ხარისხს.

## **2) ანტიმიკრობული საშუალებების მხოლოდ საჭიროებისამებრ (დანიშნულებით) დანიშვნა**

- ▶ არ უნდა მოხდეს ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება თუ არ არსებობს ამის რეალური საჭიროება;
- ▶ ყველა ანტიმიკრობული საშუალება, მათ შორის ცხოველის სამკურნალო საკვების სახით, უნდა დანიშნოს მხოლოდ ცხოველების ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი ვეტერინარის მიერ გაცემული დანიშნულების შესაბამისად. ვეტერინარის მიერ ანტიმიკრობული საშუალებების დანიშვნისას დიაგნოზი დადასტურებული უნდა იქნეს კლინიკური გამოკვლევებით;
- ▶ ფერმერმა უნდა უზრუნველყოს ანტიმიკრობული პრეპარატების მხოლოდ საჭიროებისამებრ და ინსტრუქციით განსაზღვრული დოზებით გამოყენება. ფერმერმა ვეტერინარული პრეპარატები უნდა გამოიყენოს მისი ეტიკეტის, ინსტრუქციებისა და ვეტერინარის მითითებების შესაბამისად;
- ▶ ცხოველების ანტიმიკრობული პრეპარატებით მკურნალობა უნდა ჩატარდეს ვეტერინარის რეკომენდაციით, ზოგიერთი ვეტერინარული პრეპარატის მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ ვეტერინარის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს ცხოველის სამკურნალო საკვების მოხმარება;
- ▶ დაუშვებელია უშუალოდ ვირუსული ინფექციების სამკურნალოდ ანტიბაქტერიული საშუალებების გამოყენება, რადგან ვირუსზე ანტიბიოტიკი არ მოქმედებს, მის ნაცვლად ნორმალური მიკროფლორა ნადგურდება, ბაქტერიების ნაწილი კი რეზისტენტული ხდება. ვირუსული დაავადების დროს ანტიბიოტიკების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს თანდართული (მეორადი) ბაქტერიული ინფექციის განვითარებას.

### **3) ანტიმიკრობული საშუალებების სწორად შერჩევა (მგრძნობელობა)**

- ▶ ანტიმიკრობული საშუალებების (განსაკუთრებით ანტიბიოტიკები, სულფანილამიდები) სწორად შესარჩევად სასურველია ჩატარდეს მგრძნობელობის ტესტი (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შესაბამისი ქვეთავი);

პირველი არჩევანი შეჩერებული უნდა იქნეს ვიწრო სპექტრის ანტიმიკრობული საშუალების გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩატარებულია მგრძნობელობაზე გამოკვლევა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ვიწრო სპექტრის მქონე ანტიბიოტიკი არაეფექტური იქნება (ვიწრო სპექტრის ანტიბიოტიკი არის ისეთი ანტიბიოტიკები, რომლებიც უპირატესად მოქმედებენ რომელიმე მიკროორგანიზმზე ან მხოლოდ გრამდადებით ან მხოლოდ გრამუარყოფით მიკროორგანიზმებზე, ხოლო ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები მოქმედებენ როგორც გრამდადებით, ასე გრამუარყოფით მიკროორგანიზმებზე).

- ▶ ზოგიერთი ნივთიერება ჯანმთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ დასახელებულია, კრიტიკულად მნიშვნელოვან ანტიმიკრობულ საშუალებებად და დაშვებულია მათი გამოყენება მხოლოდ ადამიანების სამკურნალოდ. 2023 წლიდან, კანონმდებლობის თანახმად, მათი გამოყენება სასურსათო დანიშნულების ცხოველებში ნებადართული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს ნივთიერებები შეტანილია N639 დადგენილების ცხრილში N1 - „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (სუბსტანციები) და მათი ნარჩენების მაქსიმალური ზღვარი (ნმზ)“. კრიტიკულად მნიშვნელოვანი ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენებისას, მნიშვნელობა ენიჭება, რომ ასეთი ანტიბიოტიკები მხოლოდ ისეთ სიტუაციაში იქნეს გამოყენებული, სადაც ვეტერინარი ანტიბიოტიკების მგრძნობელობაზე ტესტისა და ეპიდემიოლოგიური მონაცემების საფუძველზე შეაფასებს, რომ არ არსებობს ეფექტური არაკრიტიკულად მნიშვნელოვანი ანტიბიოტიკი;

### **4) ანტიმიკრობული საშუალებების სათანადოდ და ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენება**

- ▶ ანტიმიკრობული ვეტერინარული პრეპარატი გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად, გამონაკლის შემთხვევებში

შესაძლებელია ინსტრუქციის პირობების მცირედი ცვლილება ვეტერინარი ექიმის გადაწყვეტილებით;

- ▶ თავიდან უნდა იქნას აცილებული ანტიმიკრობული საშუალებების თვითნებური და არასათანადო გამოყენება, მაგ. დაბალი თერაპიული დოზებით (მცირე დოზით ვიდრე საჭიროა) გამოყენება, არასრული მკურნალობა (პრეპარატის დროზე ადრე შეწყვეტა), განმეორებით ან შეუსაბამო დროის პერიოდში მკურნალობა და ა.შ.

## 5) ლოდინის (მოცდის) პერიოდის დაცვა

- ▶ ფერმერმა უნდა უზრუნველყოს ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენებისას სათანადო ჩანაწერების წარმოება (იხილეთ შესაბამისი თავი);
- ▶ ფერმაში ისე უნდა ხდებოდეს ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების კონტროლი, რომ ცხოველებთან შეხებაში მყოფი პერსონალი (ვეტერინარი, ზოოტექნიკოსი, მომვლელი, მწველავი და ა.შ.) უზრუნველყოფდეს ლოდინის პერიოდის დაცვას;

არანაკლებ მნიშვნელოვანია რეზისტენტობის განვითარების საშიშროების ცოდნა ანტიპარაზიტული (პარაზიტების საწინააღმდეგო) საშუალებების გამოყენებისას. პრაქტიკაში ფერმერები ხშირად ამჩნევენ, რომ რამდენჯერმე წარმატებულად გამოყენებული ანტიპარაზიტული საშუალება დროთა განმავლობაში ეფექტს კარგავს და ამ ყველაფერს ან კონკრეტული პარტიის ხარისხს, ან შენახვის პირობების დარღვევას აბრალებენ, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ერთი და იგივე პრეპარატის გამოყენება იწვევს პარაზიტების მხრიდან ამ პრეპარატისადმი რეზისტენტობის გამომუშავებას, „შეჩვევას“, რა დროსაც იკარგება პრეპარატის ეფექტი. ამ ყველაფერის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია ანტიპარაზიტული საშუალებების პერიოდული ცვლა.

## მგრძნობელობის ტესტი

როგორ ზევით განიმარტა ინფექციური დაავადების ეფექტიანი მკურნალობისათვის და ასევე ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესია, რომ ანტიმიკრობული საშუალებების (ანტიბიოტიკების, სულფანილამიდების) შერჩევა/გამოყენებისას პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული დაავადების აღმძვრელის მგრძნობელობა ამა თუ იმ ვეტერინარული პრეპარატის მიმართ.

მოქმედი ნივთიერებების მიხედვით ანტიბიოტიკები და სხვა ანტი-

მიკრობული საშუალებები ერთმანეთისაგან განსახვავდებიან, კერძოდ სხვადასხვა ჯგუფის ანტიმიკრობული საშუალებები სხვადასხვა ინფექციური დაავადებების აღმძვრელების სანინააღმდეგოდ არიან ეფექტურები. ამავდროულად, თავად დაავადების აღმძვრელი შესაძლოა რეზისტენტული (მდგრადი) იყოს კონკრეტული ანტიმიკრობული საშუალების მიმართ და მკურნალობამ სასურველი შედეგი არ მოგვცეს.

იმისათვის რომ სწორედ წარიმართოს ინფექციის მკურნალობა, არ მოხდეს მარჩიელობა თუ რომელი პრეპარატი უფრო უკეთეს შედეგს გამოიღებს და ამ ყველაფრის გამო ფუჭად არ დაიხარჯოს დრო და ფინანსები, უმჯობესია ინფექციური დაავადების შემთხვევაში (მაგალითად მასტიტი, ქრილობის შემდგომი ინფექცია და ა.შ.) ვეტერინარის მიერ თავდაპირველად მოხდეს საჭირო ნიმუშის აღება (სისხლი, რძე, ჩირქოვანი გამონადენი და ა.შ.) და ინფექციის აღმძვრელის მგრძნობელობის დადგენა სხვადასხვა ანტიმიკრობული საშუალებების მიმართ. შედეგად ზუსტად შეირჩევა ყველაზე ეფექტური პრეპარატი და მკურნალობაც უფრო შედეგიანი და სწრაფი იქნება.

### **მგრძნობელობა არის მიკრობის უნარი გადაურჩეს და შეეგუოს ანტიბიოტიკის მოქმედებას, რომელიც ადრე იწვევდა მის სიკვდილს ან დათრგუნვას.**

მსოფლიო ლაბორატორიული სტანდარტების მიხედვით (NC-CLS) ანტიმიკრობული საშუალების გამოყენება მკურნალობისათვის მაშინ არის რეკომენდებული, როდესაც დაავადების აღმძვრელის შტამების 80% მგრძნობიარეა აღნიშნული პრეპარატებისადმი. ანტიბიოტიკორეზისტენტობის დასადგენად გამოიყენება რამოდენიმე მეთოდი: დისკების, ორმაგი განზავების, სისტემა alarm, სისტემა E-TEST მეთოდები.

საქართველოში ანტიბიოტიკომგრძნობელობა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ცნობილია ბაქტერიოფაგის ანალიტიკურ-დიაგნოსტიკური ცენტრი (<http://eliava-institute.org>), ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო ცენტრი ([https://aid-scenter.ge/contact\\_geo.html](https://aid-scenter.ge/contact_geo.html)). გამოყენებული ტესტების საშუალებით 1 დღეში შესაძლებელი ხდება მიკრობის იდენტიფიკაცია და ანტიბიოტიკების მიმართ მგრძნობელობის განსაზღვრა, რაც დაავადებული ცხოველის ეფექტური და დროული მკურნალობის საშუალებას იძლევა.

დღეისათვის, მეცხოველეობაში გამოყენებული ანტიბიოტიკების რაოდენობა ბევრ ქვეყანაში აღემატება ადამიანებში გამოყენებულ ანტიბიოტიკების რაოდენობას (ჯანმო). სასურსათო დანიშნულების ცხო-

ველებში გამოყენებული ანტიბიოტიკები მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ეს ხელს უწყობს ანტიბიოტიკებზე რეზისტენტული ბაქტერიებისა და გენების წარმოქმნასა და ადამიანებზე გადაცემას. საბოლოო ჯამში კი გავლენას ახდენს ადამიანებზე, რადგან ძნელდება ან შეუძლებელი ხდება რეზისტენტული ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების მკურნალობა, რაც საგრძნობლად ზრდის სამედიცინო მომსახურების დანახარჯებს, მკურნალობის დროს და ხშირად ადამიანთა სიკვდილის მიზეზი ხდება.

ინფექციური დაავადებების მკურნალობაში ანტიბიოტიკების გამოჩენამ 1940 წელს მედიცინაში რევოლუცია მოახდინა, მაგრამ დღეისათვის, სამწუხაროდ, მათი უპასუხისმგებლო გამოყენება ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარებასა და გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ანტიმიკრობული რეზისტენტობა კი იწვევს უშედეგო მკურნალობას, მწვავე და გახანგრძლივებულ დაავადებას, ჰოსპიტალიზაციის საჭიროების გახშირებას, უფრო მაღალ სიკვდილიანობას და საზოგადოებისათვის უფრო მეტ ეკონომიკურ ხარჯებს. პრობლემის აქტუალობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე ყოველწლიურად 25,000-ზე მეტი ადამიანი კვდება ანტიმიკრობულ საშუალებებზე რეზისტენტული ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციებისგან (ჯანმო). ნებისმიერი სახის ანტიბიოტიკის გამოყენებამ ცხოველებში, ადამიანებსა თუ მცენარეებში შეიძლება გამოიწვიოს ანტიმიკრობული რეზისტენტობის წარმოქმნა და გავრცელება. ამასთან იგი არ ცნობს გეოგრაფიულ და ბიოლოგიურ საზღვრებს, ამიტომაც ერთ სექტორში (მაგ. მეცხოველეობაში) ანტიბიოტიკების უპასუხისმგებლო გამოყენება გავლენას ახდენს სხვა სექტორზეც.

# მესაქონლე ფერმერისთვის საჭირო ნორმატიული აქტები

- ▶ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.
- ▶ „მცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის დადგენილება №10.
- ▶ „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №22.
- ▶ „საქართველოში იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 თებერვლის დადგენილება №52.
- ▶ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განწესის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის დადგენილება №59.
- ▶ „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის დადგენილება №112.
- ▶ „საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის დადგენილება №327.
- ▶ „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის დადგენილება №345.
- ▶ „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების გამოკვლევისათვის ანალიზის მეთოდების განხორციელებისა და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №499.

- ▶ „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №639.
- ▶ „ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ქერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის ბრძანება №2-107.
- ▶ „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2009 წლის 11 ნოემბრის დადგენილება №205.
- ▶ „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N577 დადგენილება.
- ▶ ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილება.
- ▶ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის N533 დადგენილება.

საქართველოში მოქმედი რეგულაციების გასაცნობად შეგიძლიათ ეწვიოთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მისამართზე <https://matsne.gov.ge/>, სადაც თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ყველა მოქმედ კანონს და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. გაითვალისწინეთ, რომ ფასიანი ავტორიზაციის (მომხმარებელი და პაროლი) გარეშე შესვლის შემთხვევაში თქვენთვის საბოლოო (კონსოლიდირებული) ვერსიაზე წვდომა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შემთხვევაში, ხოლო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (მთავრობის დადგენილებები, მინისტრის ბრძანებულებები და ა.შ.) არ იქნება საბოლოო და არ მოგანვდით ზუსტ ინფორმაციას.

# ვეტერინარულ პრეპარატებთან დაკავშირებული სანქციები

ჯარიმები, რომლებიც დაწესებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისთვის მოყვანილია ცხრილში.

N	დარღვევის ტიპი	ჯარიმის ოდენობა
1.	მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა	200 ლარი
2.	სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირთან თანამშრომლობაზე უარის თქმა ან უფლებამოსილების განხორციელებისას მისთვის ხელის სხვაგვარად შეშლა, მათ შორის, დოკუმენტური შემონმგების ფარგლებში მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების მიუწოდებლობა	400 ლარი
3.	ვეტერინარული პრეპარატის შენახვის პირობების დარღვევა	500 ლარი
4.	სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებასთან დაკავშირებული მითითების შეუსრულებლობა	1,000 ლარი
5.	არარეგისტრირებული, ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისი ვეტერინარული პრეპარატის გამოყენება	1,000 ლარი
6.	ინსპექტირების დროს გამოვლენილი შეუსაბამობა	200 - 1,200 ლარი, გადაადგილების შეზღუდვა

## გამოყენებული ლიტერატურა

- ▶ ვეტერინარული პრეპარატების უსაფრთხო გამოყენება ფერმერებისა და მომვლელების მიერ/ Veterinary medicines Safe use by farmers and other animal handlers <https://www.hse.gov.uk/pubns/as31.pdf>
- ▶ ახალი რჩევები დაავადებების სამკურნალოდ ანტიბიოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებით/ New antibiotics advice highlights need for range of veterinary antibiotics to treat disease <https://www.ruma.org.uk/new-antibiotics-advice-highlights-need-for-range-of-veterinary-antibiotics-to-treat-disease/>
- ▶ ანტიმიკრობული საშუალებების პასუხიმგებლიანი გამოყენება მსხვილფეხა საქონელში/ Responsible use of antimicrobials in cattle production [https://www.ruma.org.uk/wp-content/uploads/2015/07/RUMA\\_antimicrobial\\_long\\_cattle\\_revised\\_2015.pdf](https://www.ruma.org.uk/wp-content/uploads/2015/07/RUMA_antimicrobial_long_cattle_revised_2015.pdf)
- ▶ ჩანაწერების წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვეტერინარული პრეპარატებისათვის/RECORD KEEPING REQUIREMENTS FOR VETERINARY MEDICINAL PRODUCTS [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/424670/VMGNote14.PDF](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/424670/VMGNote14.PDF)
- ▶ კომისიის მიერ შემუშავებული გაიდლაინი ვეტერინარული პრეპარატების გონივრული გამოყენების შესახებ(2015/c 299/04)/ COMMISSION NOTICE Guidelines for the prudent use of antimicrobials in veterinary medicine (2015/C 299/04) [https://ec.europa.eu/health/sites/health/files/antimicrobial\\_resistance/docs/2015\\_prudent\\_use\\_guidelines\\_en.pdf](https://ec.europa.eu/health/sites/health/files/antimicrobial_resistance/docs/2015_prudent_use_guidelines_en.pdf)
- ▶ ჯანმო - სურსათის უვნებლობა - ანტიმიკრობული რეზისტენტობა / WHO – food safety – antimicrobial resistant [https://www.who.int/foodsafety/areas\\_work/antimicrobial-resistance/CIA-6th-QA/en/](https://www.who.int/foodsafety/areas_work/antimicrobial-resistance/CIA-6th-QA/en/)
- ▶ გზამკვლევი - კასკადი: არარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების გამონერა /Guidance - The cascade: prescribing unauthorised medicines <https://www.gov.uk/guidance/the-cascade-prescribing-unauthorised-medicines>
- ▶ ანტიბიოტიკური რეზისტენტობა სურსათის უვნებლობის პერსპექტივიდან ევროკავშირში, ჯანმო-ს გამოცემა, 2011, 70 გვ / tackling antibiotic resistance from food safety perspective in Europe, published by WHO, 2011, 70pg
- ▶ 2001/82 დირექტივა ვეტერინარული პრეპარატების კოდექსი ევროკავშირში / DIRECTIVE 2001/82/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 6 November 2001 on the Community code relating to veterinary medicinal products <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TX->

[T/?qid=1581322704423&uri=CELEX:02001L0082-20090807](https://matsne.gov.ge/ka/document/view/4488394?publication=0)

- ▶ „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის N112 დადგენილება/ „Rules on registration of veterinary medicinal products, authorization of establishments and control“- governmental resolution N112, 19.02.2019 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4488394?publication=0>
- ▶ „საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის და სახელმწიფო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N327 დადგენილება/ produced and imported VMD's official registration and control <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2901327?publication=0>
- ▶ ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილება / technical regulation on general and simplified hygiene rules for food/feed <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1007830?publication=6>
- ▶ ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილება/technical regulation on measures to monitor certain substances and residues thereof in live animals and animal products <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3165516?publication=3>
- ▶ „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №639/ on pharmacologically active substances and their classification regarding maximum residue limits in foodstuffs of animal origin <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3109878?publication=0>
- ▶ სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი/ food/feed safety, veterinary and plant protection code <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659434?publication=13>
- ▶ საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ / „low On Drugs and Pharmaceutical Activities“ <https://matsne.gov.ge/document/view/29836?publication=25>

## დანართები

**დანართი # 1** - ვეტერინარული პრეპარატების შექმნისა და გამოყენების ჩანაწერების შაბლონები

**დანართი # 2** - ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენები სასურსათო ჯაჭვში

**დანართი # 3** - საქართველოს მთავრობის N22 დადგენილებით განსაზღვრული „ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებები (სუბსტანციები), აკრძალული ნივთიერებები (სუბსტანციები), ვეტერინარული პრეპარატები და დამაბინძურებლები“

**დანართი # 4** - საქართველოს მთავრობის N10 დადგენილების შესაბამისად აკრძალული და დროებით აკრძალული ნივთიერებები

**დანართი # 5** - ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარება და გავრცელება ადამიანებს, ცხოველებს და გარემოს საზღვრებს შორის

### დანართი # 1

ამ დანართში წარმოდგენილია პირველადი წარმოების ეტაპზე ვეტერინარული პრეპარატების შესყიდვისა და გამოყენების ამსახველი ჩანაწერების ფორმების ნიმუშები, რომლებიც შემუშავებულია მიკვლევადობისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა ამ ნიმუშებს მხოლოდ სარეკომენდაციო დანიშნულება აქვს და იგი შეიძლება შეცვალოს და მოერგოს ბიზნესოპერატორის (ფერმერის) მიერ განხორციელებულ საქმიანობის სპეციფიკას.

ვეტერინარული პრეპარატების შესყიდვისა და მიღების ჩანაწერები						
შევსებაზე პასუხისმგებელი პირი -						
პრეპარატის დასახელება	შექმნის თარიღი	რაოდენობა	პარტიის სერიის ნომერი	შენახვის ვადა	ინფორმაცია მომწოდებლის შესახებ	ხელმოწერა
შენიშვნა						

ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების ჟურნალი									
შევსებაზე პასუხისმგებელი პირი -									
პრეპარატის დასახელება	გამოყენების თარიღი	რაოდენობა (დოზა)	საქონლის საიდენტიფიკაციო ნომერი	გამოყენების მიზეზი (დიაგნოზი)	ლოდინის პერიოდი (თარიღი)		ინფორმაცია პირის შესახებ ვინც მისცა ვეტ. პრეპარატი	განადგურების თარიღი	ხელმოწერა
					რძე	ხორცი			

## ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენები სასურსათო ჯაჭვში



### დანართი # 3

**N22 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებები (სუბსტანციები), აკრძალული ნივთიერებები (სუბსტანციები), ვეტერინარული პრეპარატები და დამაბინძურებლები**

**ჯგუფი „ა“ - ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებები (სუბსტანციები), აკრძალული ნივთიერებები (სუბსტანციები)**

1. სტილბენები, სტილბენების წარმოებულები, მათი მარილები და ეთერები;
2. ანტიტირეოიდული საშუალებები;
3. სტეროიდები
4. რეზოლცილის მჟავას ლაქტონები, მათ შორის ზერალონი;
5. ბეტა-აგონისტები
6. Aristolochia spp. და მისი პრეპარატები;
7. ქლორამფენიკოლი;
8. ქლორპრომაზინი;
9. კოლხიცინი;
10. დაპსონი;
11. დიმეტრიდაზოლი;
12. მეტრონიდაზოლი
13. ნიტროფურანები (მათ შორის ფურაზოლიდონი);
14. რონიდაზოლი.

**ჯგუფი „ბ“ - ვეტერინარული პრეპარატები და დამაბინძურებლები**

1. ანტიბაქტერიული ნივთიერებები, მათ შორის სულფონამიდები და ქინოლები;
2. სხვა ვეტერინარული პრეპარატები:
  - ა) ანტიჰელმინთები;
  - ბ) ანტიკოკციდიები, მათ შორის ნიტროიმიდაზოლები;
  - გ) კარბამიტები და პირეტროიდები;
  - დ) სედატიური საშუალებები;
  - ე) არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები;
  - ვ) ფარმაკოლოგიურად აქტიური სხვა ნივთიერებები;
3. სხვა ნივთიერებები (სუბსტანციები) და გარემოს დამაბინძურებლები
  - ა) ქლორორგანული ნაერთები, მათ შორის პოლიქლორობენზენები;
  - ბ) ფოსფორორგანული ნაერთები
  - გ) ქიმიური ელემენტები;
  - დ) მიკოტოქსინები;
  - ე) საღებავები;
  - ვ) და სხვა.

## დანართი # 4

### N10 დადგენილების შესაბამისად აკრძალული და დროებით აკრძალული ნივთიერებები

#### აკრძალული ნივთიერებები

სია „ა“ – აკრძალული ნივთიერებები:

- ▶ თირეოსტატიკური ნივთიერებები;
- ▶ სტილბენები, სტილბენების წარმოებულები, მათი მარილები და ეთერები;
- ▶ 17 β ესტრადიოლი და 17 β ესტრადიოლის ეთერის მსგავსი წარმოებულები.

სია „ბ“ – აკრძალული ნივთიერებები, ნაწილობრივ დაშვებით – ბეტა-აგონისტები.

#### დროებით აკრძალული ნივთიერებები

- ▶ ესტროგენური (გარდა ესტრადიოლი 17 β და 17 β ესტრადიოლის ეთერის მსგავსი წარმოებულებისა), ანდროგენური და ჰესტაგენური აქტივობის მქონე ნივთიერებები (სუბსტანციები).

## დანართი # 5

### ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარება და გავრცელება ადამიანებს, ცხოველებს და გარემოს საზღვრებს შორის





